დანართი №1

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ,,დამწყები მეწარმე ქალებისა და ოჯახების გაძლიერების“ ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების შერჩევა - შეფასების საკონკურსო კომისიის დებულება და კონკურსის (შემდგომში კონკურსი) ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულებით განისაზღვრება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების შერჩევა - შეფასების საკონკურსო კომისიის (შემდგომში კომისია) მუშაობისა და კონკურსის ჩატარების წესი.

2. წინამდებარე წესი შემუშავებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ,,გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის პროგრამის“ ქვეპროგრამის **,,დამწყები მეწარმე ქალებისა და ოჯახების გაძლიერება“** შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობას, მათი საქმიანობის წახალისებას, ადგილზე დასაქმების შესაძლებლობასა და მეწარმე ქალების რაოდენობის გაზრდას.

3. კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. კომისიის სხდომას იწვევს და ხელმძღვანელობს კომისის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას აგრეთვე კომისის თავმჯდომარის დავალებით კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4. კომისიის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ.

5. კომისის სხდომები მოიწვევა კომისიის თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით, კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის. ან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოთხოვნით.

6. კომისიის სხდომაზე საკითხები განიხილება კომისიის მიერ დამტკიცებული დღის წესრიგის მიხედვით.

7. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

8. კომისიის სხდომები, როგორც წესი ღიაა. კონკრეტული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე კანონმდებლობით დადგენილი წესით სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით სხდომა ან მისი ნაწილი შეიძლება დაიხუროს.

9. კომისის სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ კომისის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

10. გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრის წესით. როგორც წესი კენჭისყრა ღიაა.

11. კომისიის წევრები და კომისის შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული პირები კომისიის (სხდომის) მუშაობაში მონაწილეობენ პირადად. კომისიის თითოეულ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა. კომისიის წევრი ვალდებულია განსახილველი საკითხის კენჭისყრისას დააფიქსიროს თავისი აზრი, მიუხედავად იმისა იგი მხარს უჭერს თუ არა მოცემულ გადაწყვეტილებას. კენჭისყრისას კომისის წევრთა ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

12. კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი და კომისიის წევრები. სხდომის ოქმში უნდა აისახოს კომისიის სხდომაზე დამსწრეთა ვინაობა, განსახილველ

საკითხთა დღის წესრიგი, მოხსენებები, გამოთქმული აზრი (მათ შორის განსხვავებული) და შენიშვნები, მიღებული გადაწყვეტილება და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

მუხლი 2. კონკურსის პრიორიტეტული მიმართულებები

1. კონკურსის პრიორიტეტული მიმართულებებია:

ა) სოფლის მეურნეობა:

ა.ა) მემცენარეობა, მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების მოწყობა, არსებულის აღდგენა-განახლება: ნერგების შეძენა, სარწყავი სისტემის შესყიდვა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავებისათვის საჭირო შესაბამისი მანქანა-დანადგარებისა და ტექნოლოგიური საშუალებების შესყიდვა;

ბ) მეცხოველეობა:

ბ.ა) მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება-გადამუშავებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებისა და ტექნოლოგიური საშუალებების შესყიდვა;

გ) სოფლად ტურიზმის განვითარება;

დ) კულინარია;

ე) ხელოვნება და ხელსაქმე.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობა

1. კონკურისის მონაწილე შეიძლება იყოს:

ა) ფიზიკური პირ (ებ)ი - ასვე პირები, რომლებიც რეგისტრირებულები არიან ინდივიდუალურ მეწარმეებად (სრულწლოვანი - 18 წელს მიღწეული), ხელჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ქალს/ქალებს (ქალთა ჯგუფებს). ქალები რომლებიც ფინანსური რესურსების სიმწირსა და უკუგების შედარებით ხანგრძლივი პერიოდის გამო, მოკლებული არიან შესაძლებლობას გააფართოვონ და განავითარონ არსებული, ან წამოიწყონ ახალი საქმიანობა.

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველ ბენეფიციარ ფიზიკურ პირ(ებ)ს საკუთრებაში/თანასაკუთრებაში უნდა გააჩნდეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთ(ებ)ი, ან/და რეგისტრირებულია აღნიშნულ მისამართზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული პირობების შესაბამისად სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი, რომლის სარგებლობის დარჩენილი ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ - 5 წელს (სარგებლობის უფლება რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში).

3. კონკურსში ჩართვის მიზნით ბენეფიციარს შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარმოდგენა, ხოლო განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე.

4. საკონკურსო განაცხადი როემლიც ვერ დააკმაყოფლებს კონკურსით განსაზღვრულ მოთხოვნებს განაცხადი განუხილველად დარჩება, რომლის თაობაზეც ეცნობება ბენეფიციარს.

5. კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი ყველა მასალა და დოკუმენტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის განკარგულებაში რჩება. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას ამ მიზნით შექმნილი სპეციალური კომისია მხოლოდ განხილვის მიზნით გამოიყენებს და არ გაუზიარებს გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

მუხლი 4. პროექტის დაფინანსება

1. თითოეულ პროექტზე, თანადაფინანსების (სუბსიდირება) მაქსიმალური ოდენობა შეადგენს - 4500 ლარს, (ამ მიზნით შექმნილი სპეციალური კომისია განიხილავს გამონაკლის შემთხვევას) რაც

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს - 80%-ია, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა - არანაკლებ - 20%.

2. ბენეფიციარის მიერ პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა უნდა იყოს მაქსიმუმ 6 თვე.

3. თანადაფინასებათ ჩაითვლება მხოლოდ თანხობრივი მონაწილეობა. (აღნიშნული თანხა განმცხადებლის პირად საბანკო ანგარიშზე უნდა ფიქსირდებოდეს)

4. საკონკურსო რესურსით არ ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

ა) ხელფასები და მიმდინარე ხარჯები;

ბ) უძრავი ქონების შეძენა;

გ) სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა;

დ) კვლევები;

ე) სასწავლო/სამეცნიერო გრანტები;

ვ) ჰუმანიტარული აქციები და საქმიანობა;

ზ) გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები;

თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.

5. მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას, გადაულახავი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მისგან დამოუკიდებელი გარემოების არსებობისას, უარი თქვას პროექტის დაფინანსებაზე.

მუხლი 5. კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება

1. კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

ა) I ეტაპი - ბიზნეს იდეის/გეგმის განაცხადის წარდგენა;

ბ) II ეტაპი - გასაუბრება/მონიტორინგი/ადგილზე ვიზიტი;

გ) III ეტაპი - ბიზნეს იდეის გეგმის/ შეფასება;

დ) IV ეტაპი - ქვეპროგრამის განაცხადის დამტკიცება/ხელშეკრულების გაფორმება.

2. I ეტაპი - ბიზნეს იდეის/გეგმის განაცხადის წარდგენა:

ა) საკონკურსო პროგრამაში ჩართვის მიზნით დაინტერესებული პირები განაცხადებს ავსებენ დადგენილი ფორმის შესაბამისად და ამავე წესით განსაზღვრულ თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარადგენენ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში;

ბ) საკონკურსო განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ორი ფორმით: ელექტრონული და მატერიალური (ნაბეჭდი) ფორმით;

გ) ელექტრონული ფორმით განაცხადები მიიღება ხელმოწერილი ან/და არსებობის შემთხვევაში ბეჭდით დამოწმებული. ელექტრონულად განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ელ.ფოსტაზე Khelvachauri.mun@gmail.com განაცხადის ამ ფორმით წარდგენის შემთხვევაში განმცხადებელი ღებულობს განაცხადის წარდგენის დასტურს. ელ. ფოსტის მეშვეობით განაცხადის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ერთი საფოსტო გზავნილით;

დ) მატერიალური ფორმით განაცხადის წარდგენა შესაძლებელი იქნება, მერიის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი დიდაჭარის ქუჩა N23, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული, დილის 9:30 -დან 18:00 სთ-მდე (დასვენების დღეები: შაბათი-კვირა);

ე) წარმოდგენილი განაცხადის აღრიცხვას და სისტემატიზაციას ახორციელებს კომისიის მდივანი.

3. II ეტაპი - გასაუბრება/მონიტორინგი/ ადგილზე ვიზიტი

ა) კომისიის მიერ შერჩეული პროექტების დეტალური შესწავლის მიზნით კომისია განმცხადებლებთან გამართავს გასაუბრებას/მონიტორინგს და ადგილზე ვიზიტს.

4. III ეტაპი - ბიზნეს იდეის/გეგმის შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

ა) განაცხადის წინამდებარე წესში გათვალისწინებულ პრიორიტეტულ მიმართულებებთან შესაბამისობა;

ბ) განაცხადში არსებული იდეის დასაბუთება (მიზანი, ამოცანები);

გ) პროექტის მდგრადობა;

დ) გამართული სამოქმედო გეგმა;

ე) ბიუჯეტის დასაბუთება;

ვ) თანადაფინანსების დასაბუთება;

ზ) განმცხადებლის კომპეტენცია, გამოცდილება და მოტივაცია;

თ) განაცხადის ამ პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან შეუსაბამობის შემთხვევაში განმცხადებელი ავტომატურად ვერ გადავა შემდეგ ეტაპზე.

5. IV ეტაპი - ქვეპროგრამის განაცხადის დამტკიცება/ხელშეკრულების გაფორმება:

ა) პროექტები, რომლებიც დადებით შეფასებას მიიღებს და წარმატებით გაივლის გასაუბრებისა და მონიტორინგის ეტაპს საკონკურსო განაცხადი დამტკიცებულად ჩაითვლება, რომლის საფუძველზეც კომისია რეკომენდაციით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს შესაბამისი ხელშეკრულების დასადებად.

მუხლი 6. პროექტის განხოციელების გეოგრაფიული არეალი

პროექტი უნდა განხორციელდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე.

მუხლი 7. კონკურსის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება

1. კომისია კონკურსის შესახებ აწარმოებს საინფორმაციო კამპანიას:

ა) პროექტის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (დღის წესრიგის შედგენა);

ბ) საინფორმაციო კამპანიის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციის მაქსიმალური გავრცელება სამიზნე ჯგუფებამდე, საკონკურსო პროგრამის მიზნების და მასში ჩართვის პირობების შესახებ;

გ) მოსახლეობას კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე დეტალური ინფორმაციის გაცნობა, მათ შორის საკონკურსო განაცხადის ფორმები, მათი შევსების და წარდგენის პროცედურებზე კონსულტაციის მიღება შესაძლებელი იქნება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ქალთა ოთახის მეშვეობით. აგრეთვე განაცხადის ფორმები საჯაროთ გამოქვეყნდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.khelvachauri.gov.ge

მუხლი 8. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. კონკურსში მონაწილეობის/ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით/ ეტაპზე განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადი;

ბ) განმცხადებლისა და პროექტის მონაწილეების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლ(ებ)ი;

გ) მიწის ნაკვეთის საკუთრების/იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან), იჯარის შემთხვევაში ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება;

დ) ცნობა, საცხოვრებელი ადგილის შესახებ გაცემული მერის წარმომადგენლის მიერ;

ე) თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში, ერთ-ერთი თანამესაკუთრე წარადგენს სხვა თანამესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას ან/და თანხმობას ან/და ყველა თანამესაკუთრის მიერ ხელმოწერილ თანხმობის დოკუმენტს, რომლის შინაარსისა და ხელმოწერების ნამდვილობაზეც პასუხისმგებელი იქნება დოკუმენტის წარმომდგენი;

ვ) ინვოისი, მოთხოვნილი თანხის ფარგლებში შესასყიდი საქონლის/მომსახურების შესახებ ბაზრის კვლევა არანაკლებ 1 ორგანიზაციიდან ან საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.

ზ) სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელთა წარმოდგენის საჭიროებასაც განსაზღვრავს დამატებით კომისია.

2. განაცხადის თანმდევი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განაცხადი არ განიხილება.

მუხლი 9. კომისიის გადაწყვეტილება

1. კომისია წინამდებარე წესით დადგენილი კრიტერიუმებითა და კომისიის მუშაობის წესის შესაბამისად იღებს შემდეგი სახის გადაწყვეტილებას ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი პროექტების გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ რეკომენდაციის გაწევის ან რეკომენდაციის გაწევაზე უარის თქმის შესახებ.

2. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/რეკომენდაციის შესახებ ბენეფიციარებს შეუძლიათ პრეტენზიების წერილობითი (დასაბუთებული) ფორმით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23) წარდგენა, საბოლოო გადაწყვეტილების საჯაროდ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.khelvachauri.gov.ge) გამოქვეყნების დღიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

2. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება/რეკომენდაცია წარედგინება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს.

3. მერი უფლებამოსილია კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით, განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები შერჩეულ პროექტის თანადაფინანსებასთან დაკავშირებით.

მუხლი 10. კომისიის მდივანი

კომისის სხდომის ოქმის შედგენას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი.

მუხლი 11. ორგანიზაციული საკითხები

კომისის მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას (წერილი, მიმართვა, მოხსენებითი ბარათი და ა.შ.), როგორც წესი ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო კომისიის ოქმებს და საბოლოო გადაწყვეტილებებს (დასკვნა, წინადადება, რეკომენდაცია და ა.შ.) შესაბამისი საკითხის განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე ყველა პირი, მიუხედავად იმისა დაუჭირა თუ არა მხარი მიღებულ გადაწყვეტილებას. კომისიის წევრებს, რომლების არ ეთანხმებიან მიღებულ გადაწყვეტილებებს უფლება აქვთ სხდომის ოქმს წერილობით დაურთონ განსხვავებული აზრი.

მუხლი 12. კომისიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფა

კომისიის ფუნქციონირებისათვის საჭირო ორგანიზაციულ-სამართლებრივ და მატერიალურ - ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია.